ეროვნული ბიბლიოთეკა


# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.—სამშაბათი, 28 მარტი 1900 წ. № 1084

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგიბის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели"—„Моамбе".

ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე" 1900 წ. „ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით

10 მანეთი 6 მან. 4 მან.

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით

6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე"-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ-Пурцели".

გავახსენებთ «მოამბისა» და «ცნობის ფურცლის» იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ფული ნაწილ-ნაწილად შემოაქვთ, რომ მეორე ნაწილის—3 მანეთის—შემოტანის ვადა თავდება 31 მარტს.

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე" გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის" ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе".


## ახალი ამბავი

✦ ოზურგეთიდან გვწერენ: 20 მარტს შესდგა ქალაქ ოზურგეთის **რწმუნებულთა ასარჩევი კრება** მეორე ოთხის (1900—1904) წლისათვის. როგორც მოსალოდნელი იყო ქ. ოზურგეთის მცხოვრებლები საკმაო შეგნებულად და გონიერულად მოეკიდნენ ამ არჩევის საქმეს: ისინი, დარწმუნდნენ, რომ ქალაქის თვითმმართველობისაგან სხვა-და-სხვა დაწყებული საქმეების ხელის შესაწყობად და ქალაქის მოურავის ჯეროვანი ენერგიის დასახმარებლად საჭირო იყო უმეტესობა შეგნებული, სწავლა-განვითარებით და კეთილი მიმართულებით აღჭურვილნი წარმომადგენლებისა; მართლაც, უმეტესობა ასეთი რწმუნებულნი აირჩიეს: 15 ასარჩევ კაცებიდან,—12 არის არჩეული რუსულ-ქართული წერა-კითხვის კარგად მცოდნე, უფრო კი საშუალო სასწავლებლებში ნასწავლი პირები. ყველა არჩეულნი, ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელნი, ცნობილნი არიან თავიანთი პირდაპირი მოქმედება მიმართულებით და ქალაქის საკეთილ-დღეო შრომისათვის მონდომებით. აი მათი გვარები: 1) თავ. ტიფო დიმიტრისძე ნაკაშიძე,—ოზურგეთის მომრიგებელი შუამავალი; 2) კასილი ხუნდაძე,—ადგილობრივი პროგიმნაზიის; 3) სამსონ კაშაყიძე,—ბიილის ექიმი; 4) გიორგი მარგალიტაძე,—მასწავლებელი; 5) სოლომონ ჟღენტი—გურიის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის გამგე-მოთავე; 6) პლატონ ზერიძე—ადგილობრივი ვექილი; 7) ანდრია ივანოვი (აქციზის მოხელე), ადგილობრივი მემამულე; 8) რაჟდენ წუწუნავა (თავისუფალ ეტლით მსვლელობის ამხანაგობის გამგე). 9) დომენტი შავიშვილი—ახალციხეში ნასწავლი კომერსანტი; 10) კონსტანტინე კვაშალი—ადგილობრივი აზნაური—ვაჭრობა-მრეწველობის მიმდევარი; 11) იაგორ ჭელიძე; 12) ალმასხან ურუშაძე; 13. ილიკო გოგუღია; 14) ნიკო შარაშენიძე; 15) სამოკელ სიამაიშვილი.

ყველა ეს პირები რამოდენიმეჯერ ყოფილან საზოგადოების მიერ არჩეულნი სხვა-და-სხვა თანამდებობაზე და ამიტომაც გამოცდილნი არიან, როგორც ზნეობრივის მხრივ, ისე შრომა-მეცადინეობაში მუყაითობითაც. საყურადღებოა ის, რომ ამ საარჩევნო კრებას მრავალი ხალხი დაესწრო და სამაგალითო წეს-რიგითაც ჩაიარა; თითქმის ყველა, ვინც სიაში იყო ჩაწერილი, გამოცხადდა.

✦ 15 მარტს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, დაპირებისამებრ, მობრძანდა ქალაქ **ოზურგეთში საგალობელი კაბინეთის დასაარსებლად.** ამ დროისათვის მოწოდებული იყო ქ. ოზურგეთში მთელი მაზრის სხვა და სხვა სოფლებიდან სამღვდელოება, რომელიც შეიკრიბა სალამოს ქალაქის მოურავის ნიკო თავდგირიძის სახლში, სადაც მოვიდნენ სხვა თანამგრძნობელნიც ამ საქმისა. ყოვლად სამღვდელომ გამოუცხადა ყველა შეკრებილთ თავის სურვილი ქ. ოზურგეთში ჩვენებური საეკკლესიო გალობის სასწავლებელის დაარსების და სთხოვა მათ თანაგრძნობა-შემწეობა აღმოეჩინათ ამ ახალი კეთილი დაწყებულებისათვის. შემდეგ ნიკო თავდგირიძემ დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა ამ „საგალობელი კაბინეთის" დაარსებისათვის შემუშავებული წესდება, რომელიც ყველასაგან მოწონებული იქმნა. შემდეგ იქვე მთლად შეკრებილი საზოგადოება ჩაეწერა წევრებად და შეძლებისამებრ ყოველ წლიური შემწეობა აღუთქვეს ამ საქმეს. თვით ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომლის მეოხებით, განსაკუთრებული მეცადინეობით და შემოწირულებით არსდება ეს საქმე, მთელმა კრებამ ერთხმად აირჩია სამუდამო საპატიო წევრად; ამ ჟამად ყოვლად სამღვდელომ ასი მანეთი დასდვა და აღუთქვა ყოველიევე საჭიროების დროს დახმარება ნივთიერადაც, სხვა მრავალნაირ ხელის გაწყობა—თანაგრძნობის გარდა. აქვე საპატიო წევრად ჩაიწერნენ და ასი მანეთი ნაწილ-ნაწილად აღუთქვეს: ნიკო თავდგირიძემ, ბლაღოჩინმა არსენ თოხაძემ, ბლაღოჩინმა დიმიტრი ქიქოძემ, მღვდელმა ლუკა ურუშაძემ და საეპარქიო კანცელარიის მდივანმა ჩაჩანიძემ; ყოველ-წლიური შემწეობა ხუთ-ხუთი მანეთით აღუთქვეს ყველა სოფლის მღვდლებმა და ბევრმა დამსწრემ საზოგადოებისაგან; შემდეგ კრებამ აირჩია გამგეობა ამ საქმის მომწყობ-გამძღოლი: საპატიო თავმჯდომარედ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. მის თანაშემწედ—ნიკო თავდგირიძე; წევრებად: ბლაღოჩინი არსენ თოხაძე, მღვ. ლუკა ხუნდაძე (ხაზინადრად), მღვდელი გიორგი თოხაძე და მღვდელი დავით ღუმბაძე. ამ გვარად დაიწყო ოზურგეთის საგალობელი კაბინეტის საქმე.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტრო აარსებს 66 ახალს თანამდებობას **სახაზინო მამულების** უფროს და უმცროს **ზედამხედველთა.**

✦ რუსეთის ხელოსანთა ახლად დასრულებულმა კრებამ შეუძლებლად სცნო, რომ სახელოსნოებში მოწაფეთათვის (15 წლამდე) 8 **საათის მუშაობა** იქმნას შემოღებული. ამგვარად დარჩა ისევ 12 საათის მუშაობა. კრებამ სურვილი განაცხადა აგრეთვე, რომ სავალდებულო იქმნას სახელოსნოებში გამოკიდება მცირე წლოვან მუშათა მუშაობის წეს-რიგისა.

✦ რკინის გზის წარმომადგენელთა უკანასკნელ კრებას, როგორც იტყობინებიან, შუამდგომლობა აღუძრავს გზათა სამინისტროს წინაშე, რათა განსაზღვრულ იქმნას საკანონმდებლო წესით **რკინის გზის** ყველა მოსამსახურეთა **სამუშაო დღე.**

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს დააარსოს რუ-

სეთის უმთავრეს ქალაქებში **სამუხლო სავეტერინარო სასწავლებლები**. ეს სასწავლებლები მოამზადებენ სავეტერინარო ფერშლებს.

✦ ტფილისში 8 მარტიდან 16-მდე 26 კაცი გახდა ავად სხვადასხვა გადამდებ სენით; მათგან — წითელათი 12, ქონთრუშით — 6, ყივანა ხველათი — 3, ყელ-ჭირვებით — 1 და 4 ტიფით.

✦ დღეს, 28 მარტს, ამიერკავკასიის რკინის გზების მმართველობაში მოხდება ვაჭრობა უნდა გაიცეს ყველა სასტამბო საქმეები ხსენებულ გზებისა, 130.000 მანეთისა. ვაჭრობაში მონაწილეობას იღებენ „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ სტამბა და ლიბერმანი.

## ტფილისის სამეურნეო ბანკის კრება

კრება 26 მარტს გახსნა საბჭოს თავჯდომარემ ი. გ. თულაშვილმა. წევრი დაესწრო სულ 111 კაცი. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ხოლო მდივნად გ. მ. ლასხიშვილი.

თავდაპირველად კრებას მოხსენდა სამეურნეო ბანკის ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება. როგორც სჩანს ანგარიშიდან, ბანკმა 1899 წლის განმავლობაში სულ მოაბრუნა 6.096.938 მან., წინა წელზე 1.112.256 მანეთით მეტი. საანგარიშო წელს ბანკს გაუცია 55 სესხი 64.518 მანეთისა პროცენტიან ქაღალდების გირაოთი, 9 სესხი 26.121 მანეთისა საქონლის გირაოთი, 43 სესხი 9941 მანეთისა სამეურნეო ნაწარმოებთ გირაოთი, გაცვლილ იქმნა 19.975 მანეთის ვექსილები.

პ. ი. ყიფიანმა, ბ. ფირალოვმა და ი. ქუთათელაძემ აღძრეს კითხვა იმის შესახებ, რომ გაძლიერებულ იქმნას ბანკის ოპერაციები სამეურნეო ნაწარმოების გირაოთი სესხების გაცემით. ბ. ქუთათელაძემ, სხვათა შორის, განაცხადა, რომ საჭიროა სააგენტოს დაწესება ქუთაისის გუბერნიაში და პროცენტების დაკლება სესხის აღების დროს. სამეურნეო ბანკის დირექტორმა თავ. ვ. ს. მიქელაძემ ამის პასუხად განმარტა, რომ ბანკმა საანგარიშო წელს დააარსა საგენტო კახეთში, სხვა ადგილებში საგენტოების დაარსება კი ჯერ-ჯერობით საძნელო იქნება ახალის დაწესებულებისათვის. რაც შეეხება პროცენტებს, ისინი საანგარიშო წელს თითქმის არ აღემატებოდნენ სხვა ბანკების პროცენტებს.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ საზოგადო კრებამ დაადგინა მოწვეულ იქმნას საგანგებო კრება, რომლისთვისაც გამგეობამ უნდა დაამზადოს მოხსენება ბანკის სამეურნეო ოპერაციების გაძლიერების შესახებ. ანგარიში კი დამტკიცებულ იქმნა ერთხმად.

შემდეგ კრებას მოხსენდა ფინანსთა სამინისტროს პასუხი, რომ სამინისტრომ შეიწყნარა ბანკის თხოვნა მიეცეთ ნება ამ ბანკში ფულის შენახვისა. კრებამ მხედველობაში მიიღო ეს მოხსენება.

კრებას მოხსენდა ბანკის მოგების განაწილების საქმე. ბანკის საბჭოს წინადადება შემოაქვს, რომ წმინდა მოგებიდან (5196 მანეთი) ყოველს წევრს თითო ას მანეთზე მიეცეს 5 მ. 50 კ., დანარჩენი ფული კი გადიდვას სათადარიგო თანხისათვის. თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, პ. ი. ყიფიანი, ვ. ა. სულხანიშვილი ამტკიცებდნენ, რომ სათადარიგო თანხის გაძლიერებას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც დივიდენდის რაოდენობასო და ამიტომ წინააღმდეგნი იყვნენ საბჭოს მოხსენებისა. ხანგრძლივის კამათის შემდეგ, კრებამ 23 ხმით უმეტესობით წინააღმდეგ 22-სა უარჰყო საბჭოს მოხსენება.

კრებას მოხსენდა გამგეობის წინადადება იმის შესახებ, რომ გაცემულ იქმნას სესხები, სოლო — ვექსილებით (ერთი კაცის მიერ ხელმოწერელი), სოფლის მამულების გირაოთი. კრებამ მოიწონა ეს წინადადება. კამათის დროს თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ განაცხადა — საჭიროა მარტო მამულების გირაოთი კი არა, არამედ სამეურნეო ნაწარმოების დაგირავებითაც გაიცეს სესხი სოლო — ვექსილების ძალითო. კრებამ მოიწონა ეს აზრიც და დაავალა გამგეობას მოიწვიოს საგანგებო კრება, რომლისათვის დაამზადოს აღძრულ კითხვის შესახებ მოხსენება.

შემდეგ კრებას მოხსენდა 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის ჯამია 13.961 მანეთი. კამათი გამოიწვია ბანკის მსახურთა ჯამაგირების რაოდენობამ. თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ, ე. ს. თაყაიშვილმა, ი. ს. ალხაზიშვილმა, პ. ი. ყიფიანმა, გ. დ. ქურულმა, ა. ნ. ფურცელაძემ და ვ. ა. სულხანიშვილმა განაცხადეს, რომ მსახურთ მეტად მცირე ჯამაგირები ეძლევაო და მოითხოვეს მომატება. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ მოუმატა ჯამაგირები: უფროს ბუჰგალტერს დაუნიშნეს 1200 მ., 800 მან. მაგიერ, კასსირს 800 მ. 480 მ. მაგიერ, ბუჰგალტრის თანაშემწეს 600 მანეთი, 540 მანეთის მაგიერ, მეორე თანაშემწეს 540 მ., 480 მაგიერ, მესამე თანაშემწეს და მწერალს 480 მან. თითოეულს 300 მანეთის მაგიერ. დანარჩენი მუხლები ხარჯთ-აღრიცხვისა დამტკიცებული იქმნა შეუცვლელად.

ბანკის საბჭოს თავმჯდომარის, ი. გ. თულაშვილის, წინადადებით კრებამ შეიტანა ხარჯთ-აღრიცხვაში 1040 მან., რომლიდან ორ-ორი მანეთი მიეცემა ჯილდოთ მიმღებ კომიტეტის თითოეულ წევრს ყოველს სხდომაში.

დასასრულ კრება შეუდგა არჩევნებს. ბანკის დირექტორად არჩეულ იქმნა ისევ ვ. რ. ყიფიანი ერთხმად. საბჭოს წევრად ისევ არჩეულ იქმნა ნ. თ. ხიზანაშვილი ერთხმად; ხოლო საბჭოს წევრის თავ. ი. გ. ბარათაშვილის მაგიერ, რომელმაც უარი განაცხადა სამსახურზე, არჩეულ იქმნა 44 ხმით წინააღმდეგ 1-სა გ. მ. ლასხიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად დარჩნენ ისევ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ბ.ბ. ფერნაძე და პავლოვი.

კრება დაიხურა საღამოს 5 საათზე.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 მარტი

**პეტერბურგი.** მათი უდიდებულესობანი ბრძანდებოდნენ 25 მარტს, ხარების დღეს, ცხენოსანი პოლკის დღესასწაულზე.

**ლონდონი** რობერტსი დეპეშით იუწყება ბლუმფონტენიდან 24 მარტს: „ინგლისელებს მოუკლეს როდესბერგთან ორი ოფიცერი და 8 ჯარისკაცი; ორი ოფიცერი მძიმედ არის დაჭრილი, 33 ჯარის-კაცი მსუბუქად; ტყვედ წაიყვანეს 9 ოფიცერი და დანარჩენი რაზმი. მტრის რიცხვი უნდა ყოფილიყოს 3200 ხუთის ზარბაზნით, ინგლისელების რიცხვი კი 591 იყო.

**მასსერუ**. ბაზუტოსები მეტად აღელვებულნი არიან; მათ ეშინიათ, რომ ბურები, ბრიტანიის ფლანგის მოსავლელად გავლენ მათ ადგილებში. ბლუმფონტენთან რკინის გზაზე მომუშავე ბაზუტოსთაგან ბევრი მიდის სახლში.

**ვარინგტონი.** დღეს ფორტინსტრიმის ბატარეიამ ყუმბარები დაუშინა ბურეს, რის გამოც ამათ მიატოვეს თავიანთი პოზიციები და მიიმალნენ ჩირგვებში, სადაც მათ ინგლისის ყუმბარები ვერ მიწვდებიან.

**ლონდონი.** ალივალნორტოდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ირლანდიის მსროლელნი რუკევილიდან ბეტერსაალთან დაიწიენ. ამბობენ, რომ ბურების რაზმები მოდიან რუკევილისაკენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. აქ სდგება ქალაქის დარაჯთა რაზმი. მდ. ორანჟესთან, 16 მილზე ალივალნორტიდან, როგორც ხმა დადის, ბურები შეუმჩნევიათ.

**კაპშტადტი.** აღმოჩნდა, რომ სიმონსტაუნში მყოფ ტყვეებს, მათ მათ მეგობარ აფრიკანდერების დახმარებით, შეუდგენიათ გაპარვის პლანი. თუმცა ეს განზრახვა შეუმჩნევიათ, მაგრამ 30 ტყვე მაინც გაქცეულა.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებს ატყობინებენ შანჰაიდან 25 მარტს, რომ უცხოეთის რამდენიმე ელჩებმა მიჰმართეს ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს საერთო ნოტით, რომელშიაც მუქარით თხოულობენ, რათა „დიდი მუშტის“ სექტა ორი თვის განმავლობაში მოსპობილ იქმნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოები თავიანთ ჯარებს გაჰგზავნიან შან-დუნისა და რჟილის პროვინციებში იქ მცხოვრებ უცხოელების დასაცველად. იტალიის, ამერიკის და საფრანგეთის საელჩოებში ზღვაოსანთა დარაჯებია. გარდა ამისა ტაკუში ბევრი სამხედრო გემებია თავ-მოყრილი.

**გააგა.** დედოფალმა სამძიმრის წერილი მისწერა გენერალ ჟუბერის ქვრივს.

**კოპენჰაგენი.** ჯერ კიდევ არ შემდგარა ახალი სამინისტრო.

**ვაშინგტონი.** მმართველობას არ მიუღია არავითარი ცნობები შესახებ ამერიკის ელჩის სხვა ელჩებთან ერთად მოქმედებისა პეკინში. მიცემული ინსტრუქციის მიხედვით, ელჩი ყოველთვის დამოუკიდებლად უნდა მოქმედებდეს, თუმცა, თუ საჭირო შეიქმნა, შეუძლია სხვებსაც შეუერთდეს. მმართებლობამ არა იცის-რა შესახებ იმისა, ვითომც ამერიკის ელჩს დარაჯთა რაზმი მოეთხოვოს.

**ტიანტზინი.** ტაკუში მოვიდა რუსეთისა და ამერიკის სამხედრო ნავი; პირველი უკანვე დაბრუნდა.

**პარიზი.** ჟორჟ ბერრიმ შეატყობინა დელკასეს, რომ ორშაბათს იგი შეეკითხება მას შესახებ ნებართვისა, რომელიც პორტუგალიამ მისცა ინგლისს ბეირიდან უმთალში ჯარების გაგზავნისა და სამხედრო მასალის გადატანისათვის.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინდელ სხდომაზე ოსმალ-ბერძენთა კომისსიამ, რომელსაც საკონსულო კონვენცია უნდა შეადგინოს, ხელი მოაწერა ათ მუხლს. უკანასკნელი სხდომა 3 აპრილს უნდა მოხდეს. როგორც ფიქრობენ, ევროპის სახელმწიფოთა უმედიატოროდ საქმე არ გათავდება.

**რომი.** გენერალ-ლეიტენანტი გრაფი კორიოლან პონცა დი-სან-მარტინო დაინიშნა სამხედრო მინისტრად.

**ჯიბუთი.** სარწმუნოებრივ განხეთქილების გამო 7 მარტს ბრძოლა მოხდა დიგდიგდ-ოიადენთან. ქარსარის ქრისტიან გუბერნატორმა გაიმარჯვა 2,000 მაჰმადიანზე. მენელიკი მისახმარებლად უგზავნის 8,000 ცხენოსან ჯარის-კაცს.

27 მარტი

**პეტერბურგი.** მისი დიდებულების დანიის მეფის დაბადების დღეს საზამთროო სასახლეში გამართული იყო სამეფო საუზმე. ხელმწიფე იმპერატორმა მიირთვა დანიის მეფის სადღეგრძელო.

**ლონდონი.** აურიდან 25 მარტს დეპეშით იტყობინებიან, რომ გუბერნატორი მეუღლითურთ, უთუოდ, კუმასსის ერთ-ერთ ფორტშია. ორი ოფიცერი დაჭრილია; დაწვრილებითი ცნობები შესახებ აშანტების აჯანყებისა ჯერ არ მოსულა.

**სიმონსტაუნი.** გუშინ ღამ 30 ტყვე მაინც გაიქცა; ამათგან ექვსი მაშინვე შეიპყრეს, სამი კი უფრო გვიან. მართებლობამ აღმოაჩინა ახალი სრულებით დამთავრებული ტონელი მდინარის ნაპირთან.

**ბლუმფონტეინი.** იტყობინებიან, რომ ბურები დაქცევას უპირებენ რკინის გზას, რომელიც კარგად არის დაცული. სპრინგფილდთან ინგლისის სიმაგრეებზე იერიში მიიტანეს ბურებმა, რომელნიც წყლის მილიდან მოდიოდნენ: რკინის გზის ხიდი გლენიდან დამთავრებულია; ეხლა რელსებს აწყობენ.

**ბორბონი.** მეტუენის მიერ დაჭერილ ტყვეების დიდი ნაწილი ფრანგები აღმოჩნდნენ. დღეს დაასაფლავეს სამხედრო პატივისცემით ვილბუა.

**ბლუმფონტეინი.** დღეს აქ მოიყვანეს პრეზიდენტი შტეინის ძმა, რომელიც დატყვევებულ იქმნა კარრის ახლოს.

პრეტორიიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ 20 მარტს წყლის მილთან ბრძოლის დროს, ბლუმფონტენთან, ინგლისელებს წაართვეს 11 ზარბაზანი და ორი ფურგუნი საომარი სურსათით.

**ნიუ-იორკი.** შუა ტეხასიდან ცნობა მოვიდა, რომ ნიაღვარმა დიდი ზარალი მოუტანა მცხოვრებთ. 40 კაცი დაიღუპა. ავგუსტინოში მდ. კოლორადოზე გააფუჭა გამაგრებული ნაპირები. დიდი წყალი გადმოვარდა ნაპირებზე. ბევრი სახლები დაინგრა წყალდიდობისაგან.

**ვარშავა.** საიდუმლო პოლიციას აღმოუჩენია ერთს, ქალაქს ახლო მდებარე, სოფელში ყალბი ოქროს ფულის საჭრელი ქარხანა, გამართული პოლიციისაგან შენიშნულის პერელმანისაგან. უპოვიათ მასალა, იარაღები და თვით ყალბი ფული. შეპყრობილმა განაცხადა, რომ მას საქმეში შეელოდა საყვარელი ქალი, რომელიც ყალბი ფულის გასასაღებლად რუსეთის ქალაქებში წავიდაო.

**ბეთანია,** იმ ხუთ როტას, რომელნიც ტყვედ წაიყვანეს ბურებმა, მტერი მოულოდნელად დასხმია თავს იმ დროს, როცა დევეტსდორპით სმიტფილდში მიდიოდნენ. ჯარებს თან ზარბაზნები არ ჰქონიათ. რედესბერგი ისევ დაიჭირეს ინგლისელებმა. სამხრეთის გზები საშიშ მდგომარეობაში არიან ბურებისაგან.

**კონსტანტინეპოლი.** ზინოვიევმა სამძიმარი გამოუცხადა სულთანს ოსმან-ფაშის გარდაცვალების გამო.

**ნიცა.** სენატორად აირჩიეს გენერალ ბერანჟე, რესპუბლიკანელი.

**კოპენჰაგენი.** უელსის პრინცი ილებდა დღეს უცხოეთის ელჩებს, რომელნიც ულოცავდნენ ბედნიერად გადარჩენას სადამოს მემკვიდრესთან სადილი იქნება გამართული; რომელსაც დაესწრება მთელი სამეფო სახლი თავიანთი სტუმრებით.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**სამშაბათი,** 28 მარტი; ახალი სტილით 10 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 278 დღე. მე-12 დღე. მთვარისა. ოც-და-მეჩვიდმეტე დღე დიდი მარხვისა. ხსენება ღირსისა ილარიონისა და სტეფანე სასწაულთ მომქმედისა.

**ოთხშაბათი,** 29 მარტი; ახალი სტილით 11 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 277 დღე. მთვარის მე-13 დღე. ოც-და-მეთვრამეტე დღე დიდი მარხვისა. ხსენება ღირსისა მარკოზისა, კირილესი და ევსტატესი.

შემდეგი უქმე: 6 აპრილს— დიდი ხუთშაბათი

## ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი საღორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი აქვს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯკ. მმ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | | კოკზალზე, | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რვე 230 კაპ. ღარიბთათვის რჩევა და წამლობაც უფასოა. სამკურნლოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** გლისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონეს ტიზენგაუზენისა და გჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს.

05 წ. სად., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. სად.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, რე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ეომ9 წ. სად.

ფოთიდან მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—სად. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

რიონიდგან ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

ქუთაისიდგან რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

შორაპნიდან ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

ჭიათურაში მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

ჭიათურიდგან შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე ღამის—2 ს. 05 წ.

მიხაილოვოიდგან სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

სურამიდგან მიხაილოვოში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვოში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

ქუთაისიდგან ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ.ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

თბილისიდან ხუთსავარძლიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-სავარძლიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღის საღამოს 5 ს. 35 წ.

ვლადიკავკასიდგან: ხუთ სავარძლიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-სავარძლიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.

# განცხადებანი


**ისტორიული ნარკვევი**

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე ჭყონიასაგან**

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

---

დაიბეჭდა და იყიდება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი **ანდერსენისა:**

# დედა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ.

გამოცემა

**სახინოდ თურქიასი**

ფასი 8 კაპ.

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| ცხოვრება და ღვაწლი ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-ზღაპრები ბიზანსისა | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუისა საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო ბოტისა | «—20 |
| ჰაველოკ ფორესტ სკოტისა | «—50 |
| ალი-ბეგმედი-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გამბეტ ემზიკუშოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართული და ევროპიული სახელმძღვანელო | 1—20 |
| ლექსის ტეკოდება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რამე მასიკე | 1—50 |
| სიბრძე ბალაკარისა | «—30 |
| ტელემაქოსი და მახვილიძე | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებნი ფულით უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში იყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა; ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრწყინვები, დრამა 3 მოქმ. ბოლ-ერეისი | 30 „ |
| ეგდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. გ. გუნია


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Марта, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვაჩნის დიდი ქუჩა, № 27.